



საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

ღია მონაცემების ანტი-კორუფციული გზამკვლევი

ღამხმანე ჩესუნსი

2023



ღია მონაცემების ანტი-კორუფციული გზამკვლევი, 2023

Open data Anti-corruption playbook, 2023



პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა შავი ზღვის გაძლიერება რეგიონული თანამშრომლობისთვის (Black Sea Trust for Regional Cooperation) ფინანსური მხარდაჭერით. დონორი ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი პარტნიორის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე, აზრებსა და შეხედულებებზე.

აკრძალულია წიგნში შეტანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

პუბლიკაციის ციტირების წესი: ღია მონაცემების ანტი-კორუფციული გზამკვლევი (დამხმარე რესურსი), 2023, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო.

© საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2023.

www.transparency.ge

ვისთვისაა ეს გზამკვლევი?

ეს გზამკვლევი განკუთვნილია მედიის (განსაკუთრებით, საგამოძიებო ჟურნალისტიკის), სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების, მოქალაქე ჟურნალისტებისა და ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც დაინტერესებულია გამოაშკარაოს კორუფციული გარიგებები და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევები.

რაში გვეხმარება ღია მონაცემები?

ღია მონაცემები გვეხმარება კორუფციასთან ბრძოლაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა საქართველოში საჯარო ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა ყოველწლიურად უარესდება. ღია მონაცემებთა ბაზებში განთავსებულია ინფორმაცია, რომელიც გვეხმარება სხვადასხვა კორუფციული გარიგებების, მოქმედი ან ყოფილი თანამდებობის პირების ან მათი ოჯახის წევრების დაუსაბუთებელი გამდიდრების, ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვის და სხვა მაღალი საჯარო ინტერესის მქონე თემების გამოაშკარავებაში.

რა არის გზამკვლევის მიზანი?

ეს გზამკვლევი მოგვამზადებს იმისთვის, რომ ვიმუშაოთ ღია მონაცემების დამუშავებაზე, რომელსაც შესაბამისი კომპეტენციები სჭირდება. გზამკვლევი წარმოდგენას შეგვიქმნით იმ ღია მონაცემების ბაზების შესახებ, რომლებიც დაგვეხმარება ცუდი მმართველობის გამოაშკარავებასა და მონიტორინგში. გზამკვლევი ჟურნალისტებსა და აქტიურ მოქალაქეებს გაგვიადვილებს გავაძლიეროთ კონტროლი ხელისუფლებაზე.

როდის ვიყენებთ გზამკვლევს?

გზამკვლევი გამოიყენება მაღალი საჯარო ინტერესის თემის კვლევისას. შეიძლება გვქონდეს ინფორმაციის ნაწილი და მისი შევსება ღია მონაცემებით შევძლოთ. ასევე, შესაძლოა ღია მონაცემებში ვიპოვოთ საეჭვო გარემოება, დანარჩენი ინფორმაცია სხვა მეთოდებით მოვიპოვოთ და შევკრათ ისტორია. არის შემთხვევები, როცა ღია მონაცემებში მოპოვებული ინფორმაცია იძლევა საშუალებას სახლიდან გაუსვლელად, დამატებითი წყაროების გარეშე მოვამზადოთ საგამოძიებო სტატია.

რატომ უნდა იცოდეს მეტი ღია მონაცემების შესახებ აქტიურმა მოქალაქემ?

ბიუჯეტის ხარჯვა, სახელმწიფო შესყიდვები და კორუფცია ყველა მოქალაქეს ერთნაირად აზიანებს, რადგან ეს ალტაკეს მოსახლეობას და ხელს უშლის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. სოციალური ქსელების პოპულარობამ ყველას მოგვცა შესაძლებლობა თავად ვიყოთ ინფორმაციის გავრცელების პირველწყარო. შესაბამისად, ყველას შეგვიძლია მოვიძიოთ, გამოვააშკარაოთ კორუფციული ფაქტები და სხვადასხვა გზით გავავრცელოთ ინფორმაცია. ბიუჯეტის კონტროლი ყველა მოქალაქის ვალია, რადგან ბიუჯეტი ჩვენი, მოქალაქეების გადასახადებით გადახდილი თანხით ივსება და ჩვენივე კეთილდღეობას უნდა ხმარდებოდეს.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესყიდვების სისტემა (<http://www.procurement.gov.ge/>) შესაძლებლობას გვაძლევს გავაკონტროლოთ სახელმწიფო შესყიდვები და თვალი ვადევნოთ, თუ როგორ იხარჯება ქვეყნის ბიუჯეტი. ვებგვერდზე შესაძლებელია ვიპოვოთ რომელი საჯარო უწყება ვისგან, რას და რა ფასად ყიდულობს. ხელმისაწვდომია გაფორმებული ხელშეკრულებებიც. ასევე, შესაძლებელია გამართივებული შესყიდვის წესით (ტენდერის გარეშე) გაფორმებული კონტრაქტების მოძებნა, რომელიც ტენდერის (შეჯიბრებითობის) გარეშე ფორმდება.

თავფურცელზე ასევე იძებნება დავების საბჭოს რეესტრი, სადაც შეგვიძლია მოვძებნოთ ის შესყიდვები, რომელშიც მონაწილეობის მსურველს ან შემსყიდველს ეჭვი უჩნდება, რომ ტენდერთან დაკავშირებით გარკვეულ კანონდარღვევას აქვს ადგილი. აქ დეტალურად არის აღწერილი კონკრეტულად ვინ და რას ედავება შემსყიდველ უწყებას, რა ეტაპზეა საქმე ან რა გადაწყვეტილება მიიღო დავების საბჭომ.

გრაფიკული გამოსახულება N3: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული შესყიდვების საძიებო სისტემა



„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ტენდერების მონიტორი არის ვებგვერდი (<https://tendermonitor.ge/>), რომელიც შექმნილია „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ იმისთვის, რომ დაინტერესებულ პირებს შესყიდვების ძიება და ანალიზი კიდევ უფრო გაუადვილდეთ. მონაცემების წყარო აქაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოა. ინფორმაციის მოძიება რამდენიმე კატეგორიის მიხედვითაა შესაძლებელი, ესენია: მიმწოდებლის ძიება, დაკავშირებული პირების ნახვა, შემსყიდველის ძიება, სარისკო შესყიდვები

გრაფიკული გამოსახულება N4: ტენდერების მონიტორის საძიებო ვებგვერდი

<https://tendermonitor.ge/>-ზე თითოეულ მიმწოდებელს და შემსყიდველს აქვთ თავიანთი პროფილები. „შემსყიდველის ძიებაში“ სასურველი შემსყიდველის პროფილზე გადასვლისას სისტემა დაგვითვლის ინფორმაციას, თუ რა რაოდენობის ტენდერი აქვს გამოქვეყნებული შემსყიდველს ჯამში - გრაფიკის სახით გვაჩვენებს რამდენია შემდგარი, არშემდგარი და მიმდინარე. იგივე მონაცემები შეგვიძლია ვიპოვოთ მიმწოდებელზე მთავარი გვერდიდან „მიმწოდებლის ძიებაზე“ გადასვლის შემდეგ (მიმწოდებლის ნაწილში შეგვიძლია ვნახოთ ვინ იყვნენ მათი მთავარი მეტოქეები, მთავარი შემსყიდველები), „დაკავშირებული პირების“ ლილაკიდან შეგვიძლია გადავიდეთ <https://www.companyinfo.ge/ka>-ზე, სადაც მოცემულია ამ კონკრეტული შემსყიდველთან დაკავშირებული პირების შესახებ ინფორმაცია (ეფუძნება საჯარო რეესტრის სამენარმეო რეესტრის მონაცემებს): მოქმედი და ყოფილი მფლობელები, დირექტორები (ეს მონაცემებიც წამოღებულია საჯარო რეესტრის ბიზნესის რეესტრიდან) და სხვ.

საჯარო რეესტრის მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიულ პირთა უძრავი ქონების ერთიანი ბაზა (<https://napr.gov.ge/>) საშუალებას გვაძლევს ვნახოთ ვის საკუთრებაშია კონკრეტული ქონება ან რა ქონებას ფლობს ესა თუ ის ფიზიკური/იურიდიული პირი. შედეგი გვაჩვენებს ამ ქონების შესახებ ყველა ინფორმაციას, რაც ელექტრონულ რეესტრში ინახება. ძებნა შეგვიძლია ადამიანის/ორგანიზაციის ან პირადი ნომრით/საიდენტიფიკაციო კოდით, მისამართით და საკადასტრო კოდით (იხ. გრაფიკული გამოსახულება N5)

გრაფიკული გამოსახულება N5: საკუთრების რეესტრის საძიებო სისტემა

საჯარო სამსახურის ბიუროს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციები განთავსებულია ვებგვერდზე - <http://www.declaration.gov.ge/>, სადაც დეკლარაციების ძებნა შეიძლება თანამდებობის პირების სახელით, ან იმ საგნის ან ბრენდის მიხედვით, რომელსაც კონკრეტული თანამდებობის პირი შეიძლება ფლობდეს. დეკლარაცია შეიცავს მათ შემოსავალ/გასავლის შესახებ დეტალურ ინფორმაციას. თანამდებობის პირები დეკლარაციებს ყოველწლიურად წარადგენენ.

გრაფიკული გამოსახულება N6: თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების საძიებო

სწრაფი ძიება

ძიება

დედალური ძიება ▾

უახლესი დეკლარაციები მოიძებნა: 10

<p>თვა ნულუკიანიძე მინისტრი</p> <p>საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო</p>	<p>ჩაბარებულია: 31.01.2022</p> <p>ბადმონეწა</p>
<p>თვა ნულუკიანიძე წვერი</p> <p>საქართველოს პარლამენტი</p>	<p>ჩაბარებულია: 31.01.2021</p> <p>ბადმონეწა</p>
<p>თვა ნულუკიანიძე მინისტრი</p> <p>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</p>	<p>ჩაბარებულია: 31.01.2020</p> <p>ბადმონეწა</p>
<p>თვა ნულუკიანიძე მინისტრი</p> <p>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</p>	<p>ჩაბარებულია: 31.01.2019</p> <p>ბადმონეწა</p>

ღია მონაცემების დახმარებით გამჭვირვალეა პარტიების შემოწირულებებიც. ამისთვის გამოგვადგება აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის ვებგვერდი (<https://monitoring.sao.ge/ka>), სადაც შესაძლებელია შემოწირულებები გავფილტროთ მიმღების, ტიპების, თანხების, თარიღის, ფიზიკური/იურიდიული პირის ან პირადი/კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომრით (იხ. გრაფიკული გამოსახულება N7)

გრაფიკული გამოსახულება N7: აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების საძიებო სისტემა

შემოწირულობა
რეკლამა
ხელფასი

შემოწირულების მიმღები

თანხა (დან) თანხა (მდე)

იურიდიული ფორმა ფიზიკური იურიდიული ორივე

სასული, გვარი / დასასულება

შემოწირულების ტიპები

თარიღი (დან) თარიღი (მდე)

პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო

გასუფთავება
ძიება

2023 წლის სექტემბრიდან პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგი ახლადშექმნილ ანტი-კორუფციულ ბიუროს ფუნქციებში გადადის და პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგი და პარტიების შემოწირულობები აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე აღარ იქნება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ პოლიტიკური პარტიების შემოწირულობების ვებგვერდზე (www.transparency.ge/politicaldonations/) შეგვიძლია მონაცემები მოვძებნოთ „შემომწირველის მიხედვით“ ან „პარტიის მიხედვით“. ეს ვებგვერდი გარდა შემოწირულობებისა, გვიჩვენებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ მიერ შექმნილი სხვა ღია მონაცემის ბაზებიდან, კერძოდ, companyinfo.ge-დან და tendermonitor.ge-დან გენერირებულ ინფორმაციას და გვიაძვლებს კავშირებისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მოძიებას.

გრაფიკული გამოსახულება 8: „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ პოლიტიკური პარტიების შემოწირულობების საძიებო სისტემა

მოძებნე შემომწირველის მიხედვით მოძებნე პარტიის მიხედვით

შეიყვანეთ შემომწირველის მონაცემები (სახელი/გვარი ან პირადი ნომერი ან ორგანიზაციის დასახელება ან საიდ. კოდი)

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე (<https://matsne.gov.ge/>) შესაძლებელია კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოძიება სათაურის ან ტექსტის საძიებო სიტყვითა და ფრაზით, მიღების თარიღის მიმღები ორგანოს, დოკუმენტის ნომრით და სხვა პარამეტრების მითითებით (იხ. გრაფიკული გამოსახულება N9)

გრაფიკული გამოსახულება 9: საკანონმდებლო მაცნეს საძიებო სისტემა

საძიებო სიტყვა/ფრაზა

საძიებო სიტყვა/ფრაზა KA

საძიებო სიტყვა/ფრაზა დოკუმენტების ფილტრი

დოკუმენტის ტიპი

დოკუმენტის მიმღები

დოკუმენტის თემა

დოკუმენტის ნომერი მიღების თარიღი

სარეგისტრაციო კოდი გამოქ. თარიღი

სტატუსი დამატებითი სტატუსი

თუ კანონს აწერია „კონსოლიდირებული ვერსია/საბოლოო“ ეს ნიშნავს, რომ მოქმედ ნორმატიულ აქტს ვეცნობით. თუ გვაინტერესებს კანონის რა ვერსია მოქმედებდა კონკრეტულ დროს, იმ ნაწილში, სადაც დოკუმენტის ძირითადი მახასიათებლებია

აღწერილი (დოკუმენტის ნომერი, მიმღები, თარიღი და ა.შ.) „კონსოლიდირებული პუბლიკაციების“ გასწვრივ შეგვიძლია ჩამოვშალოთ თარიღები და შევარჩიოთ სასურველი დრო. თუ სხვადასხვა დროს კანონში შეტანილი ცვლილებები გვაინტერესებს, კანონის ზემოთ განთავსებული პიქტოგრამებიდან დავაჭიროთ „ცვლილებს“ და ავირჩიოთ სასურველი ცვლილება, რომელიც დალაგებულია თარიღების მიხედვით.

პარლამენტის ვებგვერდი (www.parliament.ge) საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ ინიციატივის ბიუროზე დარეგისტრირებიდან კანონად ქცევის ყველა ეტაპს. ამისათვის უნდა შევიდეთ განყოფილებაში „კანონმდებლობა“. აქ ჩანს რა არის ინიცირებული, როდის შევიდა საკანონმდებლო ინიციატივა (ან ნებისმიერი სხვა დოკუმენტი), ვინ განიხილავს, ატვირთულია ინიციატივა, განმარტებითი ბარათი და კომიტეტებისა და პლენარული სხდომების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებები და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია. ასევე, შეგვიძლია მოვუსმინოთ საკომიტეტო და პლენარული განხილვების აუდიო ჩანაწერებსაც.

გრაფიკული გამოსახულება 10: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე საძიებო სისტემა

როდისაა ჟურნალისტის მუშაობა ღია მონაცემებთან წარმატებული?

მონაცემებთან მუშაობა წარმატებულია, როცა დამუშავებული გაქვთ საკმარისი მასალა, რომლის გამოქვეყნებას, ყველაზე კარგ შემთხვევაში, მოჰყვება პირდაპირი შედეგი (მაგ: კანონის დახვეწა, გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით საგამოძიებო მუშაობის დაწყება, კონკრეტული ჩინოვნიკების პასუხისმგებლობის დაყენება და სხვ.). შესაძლოა, ღია მონაცემებში აღმოჩენილ ინფორმაციას, მყისიერი ეფექტი არ ჰქონდეს და წლების შემდეგ დადგას მისი მიგნებები დღის წესრიგში (მაგალითად, მთავრობის შეცვლის შემდეგ ან კონკრეტული უწყების რეფორმის შემდეგ). ასევე, მნიშვნელოვანია, მოქალაქეების ინფორმირებულობა. კორუფციული ფაქტების ან ცუდი მმართველობის გამოაშკარავების მთავარი მიზანი მოსახლეობამდე ამ ფაქტების მითანა უნდა იყოს იმისთვის, რომ მათ არჩევნებზე ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღონ.

მეტი ინფორმაციისთვის ნახეთ ღია მონაცემების გაიდლაინი, სადაც დეტალურადაა აღწერილი ღია მონაცემებთან მუშაობის ტექნიკები.